№ 68

შაბათი, 30 მარტი 1896

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომ. —ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1896

# ივერია

№ 68

შაბათი, 30 მარტი 1896

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩ, №21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი №227

## დროებითი კომიტეტი

რომელიც წყალ-დიდობისა და დიდის თოვლიანობისაგან დაზარალებულ ქუთაისის გუბერნიისა და ტფილისის გუბერ. გორის მაზრის მცხოვრებთა სასარგებლოდ შესდგა, უმორჩილესად სთხოვს მსურველთ შემოწირულება კომიტეტის თავმჯდომარის კნ. ე. ნ. ბაგრატიონ-მუხრან-ბატონის სახელზედ გაჰგზავნონ ხოლმე. (ლორის მელიქოვის ქუჩა, საკუთარი სახლი).

შემოწირულებას მიიღებენ აგრეთვე კომიტეტის შემდეგი წევრები: კნ. მ. ა. შარვაშიძისა (ახალი ბებუთოვის ქუჩა, საკუთარი სახლი). კნ. მ. ი. არღუთინსკი-დოლგორუკოვისა (გოლოვინის პროსპექტი, საკუთარი სახლი), კნ. მ. ვ. ორბელიანისა (ნიკოლოზის ქ., საკუთარი სახლი), კნ. ნ. დ. ჩოლაყაშვილისა (განოვის ქ., გურგენოვის სახლი, კნ. ე. მ. სუმბათაშვილისა (ერევნის მოედანი, საკუთარი სახლი), ა. ф. მილიუტინისა, უგანათ. თავ. პ. ა. გრუზინსკი (ერევნის მოედანი, სუმბათაშვილის სახლი), თავ. გ. ი. ორბელიანი (მიხეილის ქუჩა), თავ. დ. ა. გურამიშვილი (კონსულის ქ.) და თავ. ვ. ს. მიქელაძე (განოვის ქ., 7). შემომწირველთა გვარი და სახელები გაზეთის საშუალებით იქმნება გამოცხადებული. (12—11).

**«ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების შეუძლებელ მოსწავლეთა დახმარებისათვის»** გამგე კომიტეტს აქვს პატივი ამით აუწყოს წევრთა ამა საზოგადოებისას, რომ **წლიური საზოგადო კრება** დანიშნულია ამ წლის 25 აპრილისათვის, საღამოს 7 საათზე, თავად აზნაურთა სახლში.

**განსახილველი საგნები:**

1) ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1 იანვრიდამ 1895 წლისა 1896 წლის იანვრის 1-მდე.

2) ხარჯთ-აღრიცხვა 1 იანვრიდამ 1896 წლისა 1 იანვრამდე 1897 წლისა.

3) განხილვა პროექტებისა, რომელნიც იქმნენ შემუშავებულნი სამეურნეო და ქალთა სასწავლებლის კომისიებისაგან.

4) განხილვა ანგარიშების წესდებებისა

და 5) სხვა-და-სხვა წვრილმანი კითხვები. (3—2)

## ტფილისი, 30 მარტი.

ხალხში სწავლა-განათლების გავრცელება და მისი გონებრივად და ზნეობრივად განვითარება არის დღესდღეობით ის პრაქტიკული მოღვაწეობა, რომელსაც მისდევს სამშობლოს ყოველი კეთილის მსურველი. ჩვენ ნუ შევეხებით აქ იმას, თუ რამდენად ძნელია ამის აღსრულება და რამდენი სხვა არის საჭირო მისთვის, რომ ეს დიადი და მძიმე საგანი სავსებით სისრულეში მოიყვანონ. ჩვენ მხოლოდ ფაქტი განვიხილოთ და მაშინ დავინახავთ, რომ ევროპის სახელმწიფოებში-კი არა, თვით რუსეთში, ინტელიგენციას დღეს ერთი საქმე-ღა აქვთ, ერთსა-ღა ეტანებიან: სცდილობენ სოფელში სკოლებისა, სახალხო წიგნთ-საცავებისა და სამკითხველოების დაარსებას, სახალხო თეატრებისა და სახალხო კითხვის გამართვას. ყველამ უწყის, რომ ამ აზრით დაარსდა პეტერბურგსა და მოსკოვში წერა-კითხვის გამავრცელებელი კომიტეტები. მართალია, ამ კომიტეტებს მალე შეაკვეცეს ფრთები და დაუმორჩილეს სახალხო განათლების სამინისტროს კონტროლს, რომელიც, რასაკვირველია, რაც უნდა იყოს, მაინც ხელს შეუშლის. თუ სხვა არაფერი, ისეთის სიჩქარით ველარ მოიყვანენ სისრულეში ამა თუ იმ თავიანთ სურვილს. პეტერბურგის კომიტეტის წევრების უმეტესობამ თავი დაანება სამსახურს, მაგრამ მოსკოვის კომიტეტის წევრები-კი ყველა თავის ადგილას დარჩა. შეიძლება პირველნიც მართალნი იყვნენ, მაგრამ არც მეორენი არიან დამნაშავენი. ამათ რომ საქმისათვის თავი დაენებებინათ, მაშინ შეიძლება ისეთები გამოჩენილიყვნენ საქმის მმართველებად, რომ სულ დაეღუპათ ეს დიდებული საქმე.

ჩვენში არც ერთი ამგვარი კომიტეტი არ არსებობს, მართალია გვაქვს „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, მაგრამ წევრებთა დაუდევრობის გამო, მეტად ღარიბია და ამისათვის სისრულეში ვერ მოჰყავს ბევრი ისეთი რამ, რის გაკეთებაც შეუძლიან (წიგნთ-საცავებისა და სამკითხველოების დაარსება), თუმცა ბევრი იმისთანის გაკეთებასაც არ ანებებენ, რის ნებაცა აქვს (სკოლების დაარსება) წესდების ძალით.

ამიტომაც არის, რომ ჩვენში კერძო პირები სცდილობენ ამაში სამსახური გაუწიონ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ და აარსებენ აქა თუ იქ სამკითხველოსა და წიგნთ-საცავებს. სწორედ ამავე აზრით იყო დასტამბული „ივერიის“ № 61-ში წერილი სოფლის მეთვალყურეთა მიმართ. წერილის ავტორნი თხოულობდნენ, შეეტყობინებინათ 1) არის თუ არა მათ სოფელში სკოლა; 2) არის თუ არა სახალხო წიგნთ-საცავი ან სამკითხველო; 3) წიგნთ-საცავში რა წიგნები არის და რა წიგნები აკლია და 4) რომელი წიგნი უფრო საჭიროდ მიაჩნიათ ხალხში გასავრცელებლად.

მართალია ჩვენ კიდევ უფრო ბევრი ხელის შემშლელი გარემოება წინ გვეღობება, მაგრამ მიუხედავად ამისა ენერგიულმა მოქმედებამ ზოგიერთებისამ სძლიეს ეს გარემოებანი და მრავალ მიყრუებულ სოფლებში, ეხლა სახალო წიგნთ-საცავები და სამკითხველოებია დაარსებული. ყველა ამ სოფლებიდამ სასიამოვნო ამბები მოდის, რომ ხალხი ძალიან გულმოდგინედ ეტანება წიგნების კითხვასაო.

ზემოხსენებული წერილის ავტორებს ის განზრახვა ჰქონდათ, რომ გაეგოთ, რომელს სოფელში არ არსებობს არც სამკითხველო და არც სკოლა, ან და თუ არსებობს სამკითხველო რა წიგნები აკლია. რა რომ ამას გაიგებდნენ მაშინ მიჰმართავდნენ თუ ბეჭდვითი სიტყვით, თუ პირადად სხვა-და-სხვა პირებს, რომელნიც არას დაიშურებენ ამ ნაკლის შესავსებლად. მართალია ეს მეტად მძიმე საქმეა და დიდად ძნელი ყოველის მხრით, მაგრამ მუდმივი ენერგიული შრომა, ეჭვი არ არის, მაინც ბოლოს ლელოს გაიტანს. ამისათვის პირველად ყოვლისა საჭიროა ვიცოდეთ საჭიროება ამა თუ იმ სოფლისა ზემოხსენებული საგნის შესახებ და ამ საჭიროების მიხედვით შეძლებისადაგვარად ეცდება ყველა, ვისაც კი ჩვენი საზოგადო ინტერესების სამსახურის წყურვილი აქვს, შემწეობა აღმოუჩინოს სოფელს, თუ ქალაქს. გავახსენებთ ამას სოფლის მოღვაწეებს, განსაკუთრებით სოფლის მასწავლებლებს და განმეორებით ვითხოვთ ნუ დაიგვიანებენ, ნუ დაიზარებენ ერთი პატარა წერილის დაწერას და მოგვცენ პასუხი ზემოხსენებულს კითხვებზედ.

კ. აბაშიძე.

## ახალი ამბავი

*** ამ წელს, ჩვეულებისამებრ, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ კნ. ოლგა თადეოზის ასულის ჭავჭავაძის თავოსნობით გამართული იქმნება ლატარია-ალეგრი. ეს ლატარია ალეგრი მეათეჯერ იმართება უკვე. ყოველთვის ქართველი საზოგადოება დიდის თანაგრძნობით ეგებება ამ ლატარიას და არავითარს შრომას და წვლილს არ ჰზოგავს მის მდიდრულად მოსაწყობად. იმედია საზოგადოება უმეტესს გულმხურვალეობას აღმოუჩენს ამ ლატარია ალეგრის, რომელსაც, როგორც მოვიხსენიეთ, იუბილეს ხასიათი სძევს, რომ ამით მეტი მხნეობა და გამრჯელობა მიეცესთ საქმის თავში მდგომთ და საზოგათო საკეთილო საქმე წინ წასწიონ.

*** ხმა არის, ვითომც უმაღლეს მთავრობას განზრახვა აქვს შავი ზღვის ნაპირა ადგილები დაასახლოს ქართველებით, საქართველოს იმ მაზრებიდამ, რომელნიც მეტად მჭიდროთ არიან დასახლებულნი.

*** გუშინ, 29 მარტს, რუსეთის ფოსტა არ მიგვიღია, რადგანაც გზებია დაზიანებული.

*** როგორც გვითხრეს ტფილისის მასწავლებელთ განუზრახავთ დააარსონ ტფილისის გუბერნიის მასწავლებელთა საურთიერთო დამხმარებელი საზოგადოება. უკვე აურჩევიათ კომისიაც, რომელმაც უნდა შეიმუშავოს წესდება. სხვათა შორის განზრახულია ტფილისში დააარსონ პანსიონი მასწავლებელთა ობლების და ბავშვების აღსაზრდელათ. სიამოვნებით

## ფელეტონი

### პასუხი ბ. სა—ლის წერილისა: „კერძო თაოსნობა და ჩვენი ქალები.“

 იხ. მოამბე №12 1895 წ.

დასასრული *)

აალილეთ ეს სულთამხუთავი დაბრკოლებანი, დააყენეთ უკეთესს პირობებში, თვით ქართველი ქალების მოღვაწეობაც იმავე პირობებით შემოზღუდეთ, როგორც რუსის ქალების მოღვაწეობაა შემოზღუდული და მხოლოდ მაშინ გშვენით და გფერობთ უკიჟინოთ მათ უსაქმურობა, თუ-კი ღირსნი იქმნებიან კიჟინისა, ეხლა-კი უსაფუძვლოა თქვენი კიჟინა და საყვედური. თელავში ქალებმა მოინდომეს ქართული საეკკლესიო გალობა შეესწავლათ და ადგილობრივ ეკკლესიაში ეგალობნათ. შეუდგნენ საქმეს და განახორციელეს კიდეც. ვინც თავის დღეში ეკკლესიაში არა ყოფილა, ისიც ეჯითად დადიოდა, როცა გალობა იყო, ეკკლესიიდამ გამოშლილი ხალხი რომ გენახათ, აღდგომა მოგაგონდებოდათ. ამასაც მტრები გამოუჩნდნენ, და მერე ვინა? კიდევ „უმაღლესი განათლების“ მქონენი. ამ ვაჟბატონებმა ირონიები ალესეს თავიანთ ხის სალესავზე და გაიძახოდნენ: „ქალი ოღონდ საჩვენებელ ადგილას დააყენე და რასაც გინდა აკისრებინებო“ და სხვა ამისთანები. ქალებმა საერო სიმღერების შესწავლა მოიწადინეს, რომ გადაგვარებული სიმღერები განედევნათ, შეუდგნენ საქმეს. ადგილობრივ სიმღერებთან იმერეთის სიმღერების შესწავლაც ისურვეს. ბ. ფილიმონ ქორიძემ ამ საქმეში დიდი თანაგრძნობა გამოიჩინა. თვით გადასწერა და გამოუგზავნა ოთხი საუკეთესო გურულ-მეგრული და იმერული სიმღერები ნოტებზედ გადაღებული. შემდეგშიაც დაჰპირდა გამოგზავნას. გამოგზავნისათვის და დაპირებისათვის დიდი მადლობის ღირსია ბ. ფილიმონ ქორიძე. მაგრამ საქმე იმაშია,—ამასაც ცოდვად გვითვლიან. ესეც დაცინების მიზეზი გახდა, რამაც ერთი ათად შეამცირა სიმღერების სწავლების მსურველთ რიცხვი. ესეც არა კმარა. ამავე ქალებმა მოინდომეს წარმოდგენის გამართვა. რადგანაც პროვინციებში ხშირად უაზრო კომედიებს და ვოდევილებს სდგავენ (ხან ოთხს ვოდევილს ერთად) და რადგანაც ვოდევილები უფრო ხშირად უაზრონი და უშინაარსონი არიან, ქალებმა მოინდომეს ისეთი რამ აერჩიათ, რომ არამც თუ გასართობი, ჩამაფიქრებელი ყოფილიყო. არჩევანი „ცხოვრება ბრძოლაა“-ს ერგო. წარმოდგენილიც იყო ეს პიესა, როგორც-კი შეიძლეს. აქაც გამოჩდნენ ისეთნი, რომელთაც პიესის ამორჩევა ცოდვად ჩაუთვალეს ქალებს და ისეთი ღვარძლი გაფანტეს ცხოვრების ნიადაგზედ, რომ ძნელია მისი ამორჩევა ხსენებულ ნიადაგიდამ და სიბოროტესკი ბევრს მოახდენს, თუ არ აირჩა.

დეპოზედ არას ვიტყვი, იქნება იმასაც გამოუჩნდნენ ხელის შემშლელნი: სთქვან, რა ქალების საქმეაო, მაგრამ არც ეს იქნება საკვირველი, რადგანაც თვით დიდებული პოეტი ამბობს: „კარგი რამ მჭირდეს გიკვირდეს, ავი რა საკვირველიაო“.

ყველა ეს უკეთურებანი ვინ მოახდინეს?—მამა-კაცებმა. ესეც ქალთა მოღვაწეობა, რომელზედაც ისე უსაბუთოდ გვიკიჟინებთ. ვინ აღმოჩნდა მფარველი ამ მოღვაწეობისა? ერთი მოსკოვში, ერთი ვარშავაში, რომელთაც სანუგეშებელი წერილი მაინც მოგვწერეს და შემწეობას დაგვპირდნენ, რისათვისაც მადლობელნი ვართ, ერთიც თბილისში, რომელმაც სიმღერები მოგვაწოდა.

ვიდრე ქალთა მოღვაწეობას და კერძო თაოსნობას კანონი გამოუჩნდება მფარველად, მინამ თვითონ ქალი აწინდელი უფლებით არის შემოსილი, მინამ ქალის ავ-კარგიანობა საჭორიკანო მითქმა-მოთქმით იზომება, მინამ უჩვეველი მამა-კაცთა თვალი და გული შეეჩვევა მის საზოგადო ასპარეზზედ მოქმედებას, მანამ საჭიროა მფარველი და ხელის შემწყობი ჰყავდეს. უამისოდ მისი საზოგადო მოღვაწეობა ნაყოფიერი არ იქნება, რადგანაც თავის და-უნებურად ელვასავით მოევლინება და ელვასავითვე გაქრება. მფარველი საჭირო არ იქნებოდა, თუ უკეთურთა რაზმი მამა-კაცებში ასეთი ძლიერი არ იყოს. თუ უმაღლესი განათლების მიმღებნი ასე იქცევიან, რა მოეთხოვებათ იმათზედ ნაკლებ განათლებულებსა და მით უმეტესს გაუნათლებლებს? მაგრამ რა ჰქმნას უმაღლესმა სწავლამ, როდესაც იგი უნაყოფო ნიადაგში ჩათესილა... კიდევ მრავალ მაგალითებს მოვიყვანდი თანა მედროვე ცხოვრებიდგან, მაგრამ მამა-კაცნი ისე მალმალ დაიყურებით მუშტზედ, რომ ჯერ ესეც საშიშია. ასე, ბ. სა—ლო, გამოდის, რომ ყოველს წადილს და ხალისს საზოგადო მოღვაწეობისას თქვენვე გვიკლავთ, და პირ იქით თქვენვე გვემდურით.

რადგანაც თქვენ არ ინებეთ ჩემგან დასახელებულს მიზეზებზედ საუბარი, მარტო რუსული ანდაზის თქმით და დასკვნით—თუ ქალები არ ვვარგივართ, ისევ მამაკაცნი ბრძანდებით მიზეზიო—დაასახელეთ, მეც ბევრს არას ვიტყვი, უმისოთაც წერილი გაგრძელდა.

ბარბარე სულხანიშვილის ასული.

*) იხ. „ივერია“ № 76.

ვნებით აღვნიშნავთ ამ ამბავს და ვუსურვებთ გამარჯვებას მათ, ვინც ეს ფრიად საჭირო საქმე დაიწყო.

*** 1894 წ. სეკტემბრის თთვესა გამგეობამ ტფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკისამ წარუდგინა ბ-ნ. ფინანსთა მინისტრს, რამდენიმე შუამდგომელობა შესახებ წესდების ზოგიერთის მუხლის გამოცვლისა და შევსებისა. სამინისტრომ ქაღალდით 15 ამ წლის მარტიდამ აცნობა გამგეობას, რომ ბ-ნმა ფინანსთა მინისტრმა ზოგიერთი რამ ამ შუამდგომლობისა შეიწყნარა და ზოგზედ უარი შემოუთვალა. გამგეობა, თანახმად საზოგადო კრების დადგენილებისა, სთხოვდა სამინისტროს, რომ ნება მიეცეს ჩვენს სათავად-აზნაურო ბანკს მიიღოს გირაოდ მამულები და სესხი გასცეს სტავროპოლის გუბერნიაში, თერგის და ყუბანის მხარეში, ჩერნომორიის ოკრუგში, ყარსისა და დაღისტნის მხარეში და აგრეთვე ზაქათალის ოკრუგში, ბათომის მხარეში და ართვინისაში. სამინისტროს თხოვნა ბათუმის მხარის ბათუმითურთ და ართვინის მხარისა შეუწყნარებია და დანარჩენ ადგილების შესახებ უარი უთქვამს.

სამინისტროს შეუვსია § 14 აწ არსებულ წესდებისა თანახმად გამგეობის შუამდგომლობისა მით, რომ ბანკს ნება მიეცეს, ცეცხლისაგან დაზღვევის ფული თუ სესხის ამღებმა თავის დროზედ არ შემოიტანა, მამული დანიშნოს გასასყიდლად.

გამგეობამ, თანახმად საზოგადო კრების დადგენილობისა, ითხოვა, რომ ნება ჰქონდეს სესხი გასცეს გირავნობის ფურცლითა იმ ვადებზე მოკლე-ხნობითაც რაც აქამომდეა დანიშნული წესდებით და ამის მიხედვით შეივსოს § 26 წესდებისა. სამინისტროს, წარდგენის თანახმად, ნება დაურთვია ბანკმა სესხი გასცეს 16 წლით და 6 თთვით, 14 წლით და 1 თთვით, 12 წლით და 3 თთვით და 9 წლით და 10 თთვით. როგორც ქალაქის მამულებზე, ისეც სოფლისაზე. ამ ვადების მიხედვით ვადაზე შესატანი თავნი და სარგებელი ნახევარ წლისა შემდეგია: 16 წლის და 6 თთვის ვადისა=$4^1/_2\%$ 14 წლისა და 1 თთვისა=$5\%$, 12 წლისა და 3 თთვისა=$5^1/_2\%$ და 9 წლისა და 10 თთვისა=$6^1/_2\%$.

ეგრედ წოდებული დივინდენდის საქმე ასე გადაუწყვეტია სამინისტროს: დღეის ამას იქით § 89 წესდებით დანიშნული $20\%$ დივინდენდი ბანკში მოსამსახურებისათვის, დამფასებელთათვის და გამგეობის წევრთათვის $10\%$-ზე უნდა ჩამოხდეს და აქედამ გადანარჩენი $10\%$ მოგებისა უნდა გადადებულ იქმნას ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა სასოფლო მეურნოების თავნის შესადგენად, რომელიც უნდა იხარჯებოდეს ზედამხედველ კამიტეტის და გამგეობის საერთო კრებულის წარდგენილობითა, დამტკიცებულით საზოგადოებისაგან, დასაარსებლად ტფილისის გუბერნიის მაზრებში სასოფლო-მეურნოების საკრედიტო დაწესებულებისა, სასოფლო სამეურნოე სკოლებისა, სამეურნოე საწყობებისა, სამეურნო მანქანების და იარაღების სახელოსნოებისა და სხვა ამ გვარისა.

შემდეგი შუამდგომელობანი არ არიან შეწყნარებულნი სამინისტროსაგან: 1) ერობის, ქალაქების, საზოგადოებისა და სხვა ამგვარ დაწესებულებათათვის სესხის მიცემა. 2) ბანკზე დარჩენილ მამულების გასყიდვის ვადის გაგძელება ერთს წლამდე, (აწ ექვსი თთვეა)—შეწყნარებულია ბ-ნ მინისტრის მიერ, ხოლო თავისს დროზე ამის ნება-რთვას მოითხოვს ბ-ნი მინისტრი სახელმწიფო საბჭოსაგან. 3) $4^1/_2\%$ გირავნობის ფურცლების გამოცემისა, რადგანაც ბ-ნ მინისტრს ამ სარგებლიან ფურცლის გამოცემა უცვნია წინასწარად, ჯერ ამისი დრო არ არისო.

*** ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობა თავისს უკეთეს წარმომადგენლების პირით და საქმითაც თანდათან უფრო ხმა-მაღლა ქადაგებენ საერობო დაწესებულებათა შემოღების აუცილებელ საჭიროებას და განზრახვა აქვთ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს სთხოვონ დახმარება ამოუჩინოს მათგან განზრახულს შუამდგომლობას ჩვენში ერობის შემოღებისათვის. („მეურნე“).

*** „ქუთაისის გუბერნიის კომიტეტს წყალდიდობისა და დიდ-თოვლიანობისაგან დაზარალებულთ შესაწევნელათ“ სხდომა ჰქონდა 20 ამ თვეს საზნაურო ბანკის სადგომში. წინანდელ სხდომის პროტოკოლისა და ინსტრუქციის დამტკიცების შემდეგ ამოირჩიეს წევრები სამაზრო კომიტეტებისა, რომლებშიაც თავსმჯდომარეობენ მაზრის თავად აზნაურთა წინამძღოლები. ჯერჯერობით წევრნი აირჩიეს სამის მაზრის: ქუთაისის, შორაპნის და ოზურგეთის კომიტეტებისათვის. („მეურნე“).

*** როგორც გაზ. „ნოვ. ობოზრ.“-ეს შეუტყვია, სახაზინო თეატრის დირექციის წინაშე შუამდგომლობა დაუწყია ბ-ნს ფორკატის, რომ ახალის სახაზინო თეატრის ანტრეპრიზა მას მისცენ.

*** ს. გარდანახი: ჩვენში განუწყვეტლად ღვინით ლოთობამ კიდევ იმსხვერპლა ერთი ახალგაზდა თავადიშვილი. ამ ბედნიერს დღეებში თ. ვ. ვ—სთან მიმლოცველ ყმაწვილებს კარგად გადაეკრათ და რადგანაც ზოგიერთი ახლო-მახლო სოფლებიდანაც იყვნენ მოსულნი, ამისათვის ერთი მათგანი, ბაკურციხელი თ. ვ—ძე შემჯდარიყო-რა ცხენზედ დაექანებინა თავდაღმართზედ და რადგანაც ღვინო მოკიდებულს ვეღარ შეეკავებინა ცხენი, გადმოვარდნილიყო, ფეხი დარჩომოდა უზანგოში და იქამდისინ ეთრივნა ცხენს, ვიდრე სული არ ამოჰხდომოდა.

ბევრი ამისთანა მსხვერპლის მოწმეები ვართ, მაგრამ რას იზამთ, როდესაც ბახუსს უფრორე მომეტებულს პატივსა ვსცემთ, ვიდრე ჩვენ ჩვენს თავს უფრთხილდებოდეთ ხოლმეო, დასძენს კორესპონდენტი.

*** ს. ალი: აქ აღდგომა დილით შემდეგი უბედურება მოხდა: ალის ზემოდამ ვერს-ნახევრის სიშორეზედ მეწყერმა ჩაიტანა წყლის პირას ერთი მეკომური სახლ-კარით ბოსლით და კარ-მიდამოთი და საბრალო გლეხის შვიდის წლის ქალი და ხუთის წლის ვაჟი იმსხვერპლა. მძიმედ დაშავდენ გლეხის ცოლი და პატარა ბავშვი, რომელიც დედას მკერდიდამ არ მოუშორებია, უვნებლად გადარჩა მხოლოდ გლეხი.

## კორესპონდენცია.

—

**სოფ. ფშაველი.** (კახეთი). ვერ წარმოიდგენს ადამიანი, რა გაჭირებაში არიან დღევანდელი სოფლის მცხოვრებნი, საზოგადოდ, რასაკვირველია, უფრო გლეხნი. ყველამ კარგად უწყის, გლეხის ცხოვრება მიწაა, სახნავი თუ სათესი და ტყე. როცა მიწა და ტყე საკმაოდ აქვთ სოფლის მკვიდრს, მაშინ მოაშენებს მისთვის საჭირო საქონელს, შეიმუშავებს მიწას და ამნაირად, ვგონებ, დაიკმაყოფილებს ყველა მოთხოვნილებას. მაგრამ სავალალოც ის არის, რომ გლეხს მიწა (ტყეს არ ვახსენებ, რადგან მის სახელობაზე ერთი ღერიც არსად აუდია) ჯერ ძალიან ნაკლებადა აქვს და მერე, რაც მოეპოვება, ისიც მეტის-მეტად გაუსწორებელი: ერთს რომ ათისა და ოცი დღის მიწა ეგაგოს, სხვათ, მისავე მეზობელთ, იმასთან ერთის უღლებისათ, ერთის ხარჯობრჯისა და ბეგარ-ყალნისათ, ხშირად თითო დღისა, ან ისიც არ აბადიათ. მიზეზს თუ იკითხავთ გიპასუხებენ: იმის მამა-პაპას ბევრი მიწები სჭერია და ახლაც იმიტომ მომეტებული უჭირავსო. ეს არც საკვირველია: ძველად ადგილ-მამული მუღთარალი იყო, ვისაც რამდენი უნდოდა, იმდენს დაიჭერდა, მოხნავდა; ამას გარდა, ნება ჰქონდათ მამული ერთმანეთისათვის მიეყიდნათ, საჭიროების დაკვალად მოეხმარებინათ. მგონია, ასე იყო ყველგან საქართველოში, მთაშიც და ბარშიც. შემდეგ, რაკი ძველი ახალზე შეიცვალა და ცხოვრებაც საქაჯავში ჩავარდა, გართულდა, გამრავალფეროვნდა, ძველი წესიც მამულის მფლობელობისა გლეხთა შორის უნდა შეცვლილიყო უეჭველად (მე აქ ვენახისა და ხეხილის ბაღჩებს არ ვეხები; სახეში განსაკუთრებით სახნავ-სათესი ადგილები მაქვს). მაგრამ ამ მხრივ ბარს ჯერაც არავითარი წამალი არ უჩანს. მთაში-კი, ეს ოც-და-ათი წელიწადი იქნება, მამულის ერთმანეთში თანასწორობის საჭიროება შეიგნო და ამნაირი თანასწორობა ადვილადაც მოახერხა. მთის ქართველებმა, რაკი გაიგეს, რომ ხარჯი და ბეგარა ყველას თანასწორად აწვებოდა, მაშინვე აიღეს საბელი ხელში და თანასწორად გაიყვეს სახნავი და სათიბი ადგილები. მაგალითად, ფშავში ვერ შეხვდება კაცი ისეთ მკომურს, ღარიბია იგი თუ მდიდარი, ძლიერია თუ უძლური, რომელსაც თავისს მეზობელზე ან ერთი კაბდო მიწა მომეტებული ეჭიროს. მართალია, უსამართლობაა ერთისთვის ჩამორთმევა და სხვისთვის მიცემა, მაგრამ არა ნაკლები უსამართლობაა, როცა ერთი მაძღარია, ათი და ოცი-კი მშიერი.

თუმცა მთაშიც ბევრმა დასთმო ძველი მამა-პაპეული მამული, ასე თუ ისე შეძენილი, მაგრამ ამ გარემოებას მთის ხალხი ადვილად შეურიგდა, რადგანაც მისი მომეტებული ნაწილი კარგადა ჰგრძნობდა, რომ მეზობლის ჭირი და ვარამი მისავე სენი და სატკივარი იყო და არის. მთის ხალხი ძალიანა სწუხს, როცა მისი მეზობელი უქონელი და ღარიბია; ის მუდამ ამბობს: ჩემი მეზობლის სიღარიბე ჩემივე სიღარიბეაო. იმას უყვარს მეზობელი და პატივსა სცემს მას; ამიტომაც ხშირად გაიგონებს იქ კაცი: უმეზობლოდ ღმერთმა ერთი დღეც ნუ მაცოცხლოსო! ბარში-კი მეზობლის სიყვარული და პატივისცემა ძლიერ მცირეა... თუ რომ მთაში ხალხმა თვითონ მოახერხა ადგილ-მამულის გათანასწორება, ბარში მთავრობა უნდა ცდილობდეს ამგვარად გათანასწორებისათვის.

ახლა ვიკითხოთ,—აქვს თუ არა სოფელს საქონლისათვის საძოვარი ადგილები, რასაკვირველია, ბარად, თორემ მთა ამ მხრივ კმაყოფილია? სრულიადაც არა. იმაზე მეტი, რაც ზემოდა ვსთქვით, ერთი ხელის ტოლა ადგილიც არ არის გლეხის ხელთ. გლეხის საქონელი ფეხსაც ვერ გადასდგამს, ისე რომ ტყის უარეულმა, ან მეველემ ბაგისა და ბოსლის კარები არ აჩვენოს... სახნავ-სათესად მიცემულ ადგილების შუა-შუა ყველგან მოიპოვება პატარ-პატარა კორომები, ოღვები და ტყიან-ჯაგიანები, გლეხებისაგან განგებ დატოვებულნი: ან გუთნისათვის წნელს მოჭრი, ან თონისათვის ფიჩხსაო, ან საქონელი სიცხესა და ბუზს გიქცევა და გრილოს შეეფარებაო, ან დილა-საღამოს ბალახს მოსძოვსო და სხვ. წარმოიდგინეთ, ამისთანა ადგილებშიაც სასტიკად აკრძალულია უბილეთოდ, განაღამც თუ წნელისა და ფიჩხის მოჭრა, საქონლის ტარებაც-კი! რა იცოდა საწყალმა გლეხმა, რომ ეს ჯაგიანები ბოლოს მახედ დაუგებოდა მის საქონელს, თორემ ერთ წკირს კი გაუშვებდა?!

ჩვენთვისა ვსთქვათ, სად უნდა ჰკვებოს ქართველმა გლეხმა საქონელი, თუ ტყეს არ მიაკარა? ტყის შენახვა და დაცვა ძალიან კარგი რამ არის, მაგრამ ეს რაღა ღვთის რისხვაა, რომ სახელმწიფო გლეხს სახელმწიფო ტყის მცველები, განაღამც თუ საქონელს ატარებინებენ საძოვარზე, ასე გასინჯეთ, მწიფე შვინდის, ზღმარტლის, პანტისა და სხვა გარეულ ხილის აკრეფასაც სასტიკად უკრძალავენ, ოქმებს უდგენენ და ღუპავენ ხალხს! ვინ იტყვის, რომ საქონელი ტყეს ზარალს არ აძლევდეს, მაგრამ ეს ზარალი ისეთი წვრილმანია, რომ სათქმელადაც არა ღირს. ტყეში საქონელი ბალახს მოსძოვს, ფოთოლს შესჭამს,—ესენი ხომ შემოდგომაზე მიწას შეუერთდებიან—სხვას არაფერს დააშავებს. ნუთუ ამაშიაც ფასს უნდა იხდიდეს ბეჩავი გლეხი?! ვინ იტყვის, რომ წინად, როცა ტყეც კარგი იყო და ველიც, საქონელი არ იყო, ან თუ იყო, ტყეს არ ეკარებოდა? ვინ იტყვის რომ ირემი, შველი კურდღელი და სხვა ნადირები ტყით არა ცხოვრობენ? მაგრამ სადაც ეს ნადირებია მრავლად, იქ ტყეც საუკეთესოა მუდამ... არა, როგორც მრავალი მაგალითებით მტკიცდება, ტყის მცველობას უფრო ისა აქვს აზრად, რაც შეიძლება შემოსავალი გადიდდეს, და ეს შემოსავალი საიდამ უნდა შეივსოს, თუ არ იმ გლეხის ჯიბიდამ, რომელიც თითქმის უმამულოა?!

გლეხის ცხოვრება დღეს აი რას წარმოადგენს: ორთაშუა რიცხვი რომ ავიღოთ, გლეხსა აქვს სამისა თუ ოთხის დღის მიწა; ამ მიწაში მან უნდა მოიყვანოს ყოველნაირი საჭირო მოსავალი; ამ მიწით უნდა შეიძინოს შეშა, ჭიგო, ფიჩხი და სხვა საჭირო მასალა; ამ მიწაში უნდა აცხოვროს საქონელი და მოთიბოს თივაც საზამთროდ, ამ მიწამ უნდა გაისტუმროს სახელმწიფო და სხვა ათასი გარდასახადი! განა ასეთ გარემოების შემდეგ კიდევ საკვირველია გლეხის ეკონომიურად დაქვეითება?!

ფშაველიშვილი.

1896 წ. 22 მარტი.

## წერილი ხარაგაულიდგან.

(მცირე შენიშვნა).

ამიერ კავკასიის რკინის გზის გაკეთებას (განსაკუთრებით ძირულის სადგურიდგან მოლითამდე) არ იქნა და არა, არაფერი ეშველა. ჯერ იყო და შარშანდელმა წყალდიდობამ გაანადგურა, შემდეგ, თუმცა-ღა წელს იანვარს აქეთ, როგორც იყო მატარებლების მოძრაობა გაიხსნა, მაგრამ ვაი მაგისთანა გახსნას; დღე არ გავა, რომ სადმე ზვავი არ ჩამოწვეს და ან ჩხერიმელამ არ გარეცხოს და არ შეაჩეროს მატარებლების მოძრაობა. ნურავინ იფიქრებს, რომ მარტო სტიქიონის ბრალი იყოს ეს.

15 მარტს სადგურ მოლითში დიდი ზვავი ჩამოწვა მიწისა, რომელმაც მოიმწყვდია ქვეშ ორი ლოკომოტივი და რამოდენიმე დატვირთული ვაგონი, თან ერთი რკინის გზის მოსამსახურე (მემაშინეს თანაშემწე) იმსხვერპლა, რომელიც ჯერ არც-კი ამოუღიათ ზვავიდგან. — როგორც ამბობენ ამ ზვავის შერყევა ერთი კვირით ადრე შეუმჩნევიათ, მაგრამ არავის ეგონა თურმე, რომ ასე მოულოდნელად და ასე დიდად ჩამოწვებოდა, ამიტომაც სადგურის უფროსიც არ ყოფილა გაფრთხილებული, რომ იმ საშიშ ალაგას მატარებელი არ დაეყენებინა.

კარგი-კი იქნებოდა ვისიც მოვალეობა იყო, რომ ის საშიში ადგილი, სადაც ზვავი ჩამოწვა ყოველ დღე და ღამე და ყოველ საათშიაც ენახათ და შეემოწმებიათ და დროზე ეხმარათ რამე საშუალება, რათა ამოდენი ზარალი არ მოსვლოდა რკინის გზას. (ორი ლოკომოტივი „ფერლესი“ და რამოდენიმე დატვირთული ვაგონი სრულიად დამსხვრეულებია და გზაც საშინლად გაფუჭებული). გარდა ამისა სად. ბელაგორ (იგივე ხარაგაული) და მარელისს შუა ამას წინათ ზვავმა ხუთი მუშა ერთად იმსხვერპლა, საცოდავ მუშებს თურმე სძინებიათ და ისე მოუსწრია მიწის ზვავს. არც ეს საბრალონი ყოფილან გაფრთხილებულნი, რათა ისეთ საშიშო ადგილას ღამე არ დაბინავებულიყვნენ, თორემ სიკვდილს გადარჩებოდნენ. მოლითს და ძირულას შუა თითქმის ყოველ კვირე ჩამოდის ზვავი და გზა იკვრება, ამიტომ ძლიერ კარგი იქნება, რომ ამ გზის ზედამხედველი დროზე, ე. ი. სანამ ზვავი ლიანდაგზე ჩამოწვებოდეს და გზა შეიკვროდეს, მანამდე მიიღებდეს საჭირო ზომებს, რათა გზა არ შეიკრას ასე ხშირად.—ვგონებთ ასჯერ უფრო იაფად დაუჯდება რკინის გზას გზის გაწმენდა და შეკეთება დროზე მიღებული საშუალებით, ვინემ მას შემდეგ, როცა ზვავი ჩამოწვება. მაშინ ხომ რკინის გზა ორ ნაირ ზარალშია, ერთი რომ მატარებლების მოძრაობა შეჩერებულია და, მაშასადამე, რკინის გზა ზარალობს და მეორე მოიჯარადრეები და მუშები უფრო მომეტებულ ფასს თხოულობენ რაკი ჰხედავენ, რომ რკინის გზას უჭირს.

23 მარტს მდ. ჩხერიმელა ადიდდა და ძირულას და ხარაგაულს შუა 136 ვერსტზე რკინის გზის ხიდს სამი ბოძი გამოაცალა და დიდად დააზიანა, აგრეთვე ხარაგაულს და მარელისს შუა ორ სამ ადგილას გარეცხა გზა ჩხერიმელამ. მუშები გზის საკეთებლად ბევრია, მხოლოდ სამწუხაროდ, არ ვიცით-კი რისთვის და ადგილობრივ მკვიდრთ თითქმის არავითარი სამუშაო საქმე არა აქვსთ მიცემული,

აქ სულ ბათუმიდგან გამოწერილი სომხები და თათრები მუშაობენ. — ადგილობრივ მცხოვრებლებს, ამ გაჭირვების დროს, წყალდიდობის და დიდი ზამთრის მიერ დაზარალებულებს, რომლებთაც მიშველება და შეწევნა ესაჭიროებათ დღიურ მუშათ ყოფნა ენატრებათ, რათა ორიოდე გროში იშოვნონ, ნეტა მაინც ან უკეთესად, ან უფრო იაფად მუშაობდნენ გამოწერილი მუშები, მაშინ არაფერი გვეთქმოდა; ჩვენს კაცს დღეში ათი შაურიც არ ეძლევა, ხოლო გამოწერილებს-კი ერთ მანეთამდე.

ამ ორი კვირის წინად აქ ერთს იმერულ მუშის ამხანაგობას ერთმა მოიჯარადრემ ეს „შტუკა“ უყო. იმერელ მუშის ამხანაგობამ, პირობა მისცა მოიჯარადრეს: 8 მანეთად უნდა მოეტეხა თითო კუბ. საჟენი ქვა და ჩაებარებია დანიშნულ ვადამდე და თუ ვერ ჩააბარებდა, მაშინ ხუთასი მანეთი ჯარიმა უნდა გადაეხადა მუშებს მოიჯარადრის სასარგებლოდ. თავის მხრით მოიჯარადრემ პირობა მისცა მუშებს, რომ სამუშაო საქმეს არ ჩამოართმევდა და სხვას არ გადასცემდა და ფულსაც მოტეხილ ქვაში ყოველთვის დროზე მისცემდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ხუთასი მანეთი ჯარიმა მოიჯარადრეს უნდა მიეცა მუშებისათვის. მუშები სამუშაოს დაადგნენ, თავიანთი პირობის ქაღალდი მოიჯარადრის ერთ ამხანაგს მიაბარეს შესანახავად, რომელიც პატიოსან კაცად მიაჩნდათ. მეორე დღეს აღმოჩნდნენ მსურველნი ქვის ნაკლებ ფასად მტეხელნი, ამიტომ მოიჯარადრემ, პირობის ქაღალდი, რომელიც მის ამხანაგს ებარა მუშებისაგან, გამოართვა და დახია, რის შემდეგ, რათქმა უნდა, საწყალ მუშებს სამუშაოზე ხელი აალებინეს. ბევრი ეხვეწეს მუშებმა: ჩვენი პირობის ქაღალდი მაინც დაგვიბრუნეთ და სამუშაოზე ხელი აგვიღიაო, მაგრამ არავინ არ უსმინა იმათ.

ვ. მასხულია.

სადგური ხარაგაული.
25 მარტი, 1896 წ.

## მცირედი მხილება.

Чѣмъ кумушекъ считать трудиться,
Не лучше ли на себя, кума оборотиться.

კრილოვი.

სააღდგომო ნომერში „კვალის“ რედაქციამ შეასხა ქებათ-ქება თავისს „პროგრესიულს“ ენასა და სხვას დაუწუნა ქართული მეტყველება, სტილი. სწორედ ამავე ნომერში მკითხველებს წარუდგინა ნიმუში შეუდარებელის ქართულის ენისა, სახელდობ იმ განყოფილებაში, რომელსაც ჰქვიან სხვა-და-სხვა ამბები და რომლის ენა მთლად ეკუთვნით ცნობილ მეუღლეთა. გავიცნოთ ეს ენა და დავსტკბეთ მისი მშვენიერებითა.

„ქუთაისში არსებობს საურთიერთო ცეცხლის დამზღვეველი საზოგადოება“, სწერენ განთქმულნი მეუღლენი. საოცარი ქალაქი ყოფილა ეს ქუთაისი. სხვაგან ყველგან სახლებს აზღვევენ ცეცხლით განადგურებისაგან, აქ კი თურმე თვითონ ცეცხლს აზღვევენ და ისიც როგორ ცეცხლსა? საურთიერთოსა.

„საზოგადოების დაარსებიდგან სულ დაუზღვიათ 257 მამული“, განაგრძობენ იგივე მეუღლენი. როგორ მოგწონთ ეს პროგრესიული „დაუზღვიათ“, რამდენჯერმე გამეორებული?

„კრებამ ერთხმად გადაწყვიტა პენზენის კავშირში მონაწილეობის მიღება“. ვისი მონაწილეობისა? უნდა ყოფილიყო: გადასწყვიტა მიიღოს მონაწილეობა. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. მარგალიტი აქ არის სიტყვაში «პენზენისა». ყველა უბრალო მომაკვდავნი Пензенскій союзъ სთარგმნიან «პენზის კავშირი», რადგანაც დასაბამითი სიტყვა არის Пенза; უკვდავი რედაქციის გეოგრაფიით კი ყოფილა Пензена და აქედგან მას გაუკეთებია „პენზენის კავშირი“.

„მასში (წიგნში) დაგროვებულია თითქმის ყველა მწერლების აზრები, ვისაც-კი ჰქონია ვეფხვის-ტყაოსანზე მსჯელობა“. — თქვენ იტყვით, რომ სიტყვა „დაგროვებულია“ ითქმის მხოლოდ პურზედ, სიმინდზე, ხილზედ, ქვაზედ, მიწაზედ და სხვა ნივთიერებაზედ და არას დროს აზრებზედ, რადგანაც აზრები ნივთიერს რასმე არ შეადგენენ. მაგრამ თქვენ ნათქვამს რა ძალა აქვს. რედაქცია გვეუბნება, რომ აზრების დაგროვებაც შეიძლებაო დამპალი ვაშლივითა და ჩვენც უნდა დავუჯეროთ. სხვა ღირსებასაც ჰპოებს მკითხველი მოყვანილს ფრაზებში, თუ მცირეოდნად მაინც ჩააკვირდება.

„აპრილის თვიდგან გამოვა ორკვირეული გამოცემა“. გამოცემა გამოვა, ზეთი გაზეთიანდება, ხმელი გახმება, მკვდარი მოკვდება, განა ჩინებული გამოთქმაა?

„ერთი სიტყვით, ყოველივე ის (იქნებიან მოთავსებული), რაც შეეხება სახალხო სიმთელეს, ეპიდემიას, ენდემას, ეპიზოტას და სხვანი“. სახალხო სიმთელე ისეთივე პროგრესიული გამოთქმაა, როგორიც: სავაჭო სიმთელე, საქალებო, სააზნაურო, სათავადო სიმთელე. უნდა ყოფილიყო: ხალხის სიმთელე. ამას გარდა „კვალმა“ ძლიერ იუცხოვა გამოთქმა: „ხუდოჟნიკი, ანუ მხატვარი“ და თავისებური ოხუნჯობა გააბა ამის გამო. თვითონ-კი აუხსნელად ხმარობს იმავე ნომერში იმისთანა უცხო სიტყვებს, გაუგებარს ბევრი მკითხველისთვის, როგორც: ეპიდემია, ენდემია, ეპიზოტია. თუ თვითონ არ იცოდა მნიშვნელობა ამ სიტყვებისა და ვერ მოახერხა მათი ქართულად გადათარგმნა, ლექსიკონში მაინც მოეძებნა.

ამისთანა მარგალიტებს სხვებსაც აღმოაჩენთ, თუ არ დაიზარებთ, იმ ერთად-ერთს გვერდზედ, რომელიც ახალს ამბებს უჭირავს სააღდგომო ნომერში და რომელიც მთლად ეკუთვნის რედაქციასა. სხვა ნაწერები განთქმულთა მეუღლეთა კიდევ უფრო მდიდარი არის ამ გვარი მეტყველების მარგალიტებითა

„კვალის“ გადამფურცლელი.

## უცხოეთი

**ეგვიპტის სავალო კასსა.** ეს სავალო კასსა ეგვიპტისა, რომელზედაც ამდენი მითქმა-მოთქმაა ეხლა, დაარსებულია 1876-ში იზმაილ ფაშის ნაიბობის დროს. იზმაილის დროს ეგვიპტეს ორი მილიარდი ფრანკი ემართა და გაკოტრებასთაახლო იყო. ამ მიზეზების გამო საფრანგეთმა და ინგლისმა დააძალეს იზმაილს „ეგვიპტის ვალის გასასტუმრებელის კასის“ დაარსება. ამ კასის კონტროლიორად დაინიშნა საფრანგეთისა და ინგლისის წარმომადგენლები. ეს კასსა ოფიციალურად აღიარებულ იქმნა ევროპის სხვა სახელმწიფოთაგანაც. 1879-ში იზმაილს ხომ სამსახურისათვის თავი დაანებებინეს და ამას შემდეგ კასსის კონტროლი მიენდო საფრანგეთისა და ინგლისის წარმომადგენელთა გარდა, გერმანიისა, ავსტრ-უნგრეთის, იტალიისა და რუსეთის წარმომადგენლებს. ამ წარმომადგენლებთა კრებას ნება აქვს ეგვიპტის სახელმწიფო შემოსავლიდამ ერთი ნაწილი გადასდვას ხოლმე სახელმწიფო ვალების გასასტუმრებლადა ნება აქვს აგრეთვე თვალ-ყური ადევნოს ეგვიპტის შესავალ-გასავლის კარებს. მხოლოდ ზემოხსენებულის კომისსიის გარდაწყვეტილებით შეუძლია ეგვიპტეს სახელმწიფო ხარჯისათვის ამ კასსის ფული მოიხმაროს.

**საფრანგეთი.** საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრის ბერტლოსაგან სამსახურის თავის დანებებამ ბევრი ლაპარაკი გამოიწვია. დიდი ხანია ამბობენ, რომ ბერტლო, მართალია, გამოჩენილი ქიმიკოსია, მაგრამ როგორც დიპლომატი მეტად სუსტიაო. ბურჟუა თურმე ძალიან ხშირად ეხმარებოდა ბერტლოს გარეშე საქმეების მართვაში. ეხლა, როცა დონგოლის ექსპედიციის პოლიტიკური საქმეები გამწვავდა, ბერტლომ საჭიროდ დაინახა სამსახურისათვის თავი დაენებებინა. ოპორტიუნისტებმა ეს ხელზედ დაიხვიეს და ცხარე საყვედურით მიჰმართეს მთავრობას, საფრანგეთი საძაგელ მდგომარეობაში ჩააგდეთ, ინგლისს რომ წასჩხუბეთო. აქ ბევრი სიმართლეა, რომ ოპორტიუნისტები იმიტომ არ ამბობდნენ მხოლოდ, იქნებ რაიმე ნაირად სამინისტრო დავამხოთო. ბურჟუამ ამის შესახებ გრძელი სიტყვა წარმოსთქვა, გაახსენა ინგლისის მოქმედება ეგვიპტის კითხვაში, რუსეთისა და საფრანგეთის კავშირი აღტაცებით მოიხსენია და სხვ. პარლამენტმაც, რასაკვირველია, მინისტრის ახსნა საკმარისად იცნო და ნდობა გამოუცხადა. ხოლო სენატი-კი სრულიად წინააღმდეგად მოიქცა. მილიარმა ასეთი ფორმულა დაადგინა: სენატი ვერ დაკმაყოფილდა სამინისტროს ახსნამ და ამისათვის უკმაყოფილებას აცხადებს და ამის შემდეგ მორიგი საქმეების განხილვას შეუდგებაო. სენატიც 155 ხმით 85-ის წინააღმდეგ დასთანხმდა ამ ფორმულაზედ. ამის შემდეგ სამინისტრომ გარდასწყვიტა, რაკი პარლამენტი ჩვენ ნდობას გვიცხადებს სენატის უკმაყოფილებას ყურადღებას ვერ მივაქცევთ და სამსახურს თავს ვერ დავანებებთო.

## ჟურნალ-გაზეთებიდამ და წიგნებიდამ

ამოკრებილი ამბები.

— ერთს ინგლისურ ჟურნალში, რომელიც ითვლება გლადსტონის დასის მომხრედ, შარშან დაიბეჭდა წერილი ინგლისის პარლამენტის წევრის სტევენსონისა სახელად: „მერმისი ოსმალეთის იმპერიისა. სქემა განაწილებისა“. ეს სტევენსონი მომხრეა გლადსტონისა. ამ სქემაში მოხსენებულია როგორ უნდა გაიყონ ევროპის სახელმწიფოებმა ოსმალეთი და სხვათა შორის აი რა არის აღნიშნული: კონსტანტინეპოლი თავის-უფალი ქალაქი უნდა იყოს მთელ იმ ადგილებით, რასაც 24 მილი მანძილი გაიტანს, ქალაქიდამ ყოველ მხრივ რომ გაიზომოს. ეს ქალაქი თავისის გარშემო ადგილებით უნდა მთელის ევროპის მფარველობის ქვეშ იყვეს და განიგებოდეს საერთაშორისის კამისიის მიერ. ეს კამისია უნდა შესდგეს შვიდის კაცისაგან, ამათ შორის ექვსი კაცი დაინიშნება დიდთა სახელმწიფოთაგან თვითვეულისაგან თვითო და მეშვიდე კაცი შვეიცარიისაგან. მთელი ქვეყნები ოსმალეთისა აზიაში ოთხად უნდა განაწილდეს. პირველი ნაწილი შავის ზღვიდამ ტავრის მთამდე სომხებითურთ, რაც ამ ნაწილში მოჰყვება, რუსეთს უნდა მიეცეს. დანარჩენი დასავლეთი მხარე მცირე აზიის ნახევარ-კუნძულისა ავსტრიას უნდა დაეთმოსო. სმირნა და მისი მიდამო ადგილები და კრიტი ეძლევა საბერძნეთს. ძველის კილიკიისაგან უნდა შესდგეს დამოუკიდებელი სამთავრო სომხეთისა. სირია ეძლევა საფრანგეთს, ტრიპოლს დაიჭერს იტალია, ეგვიპტეს არაბისტანითურთ დაისაკუთრებს ინგლისი. ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე რაც ადგილებია ბოლგარიისა და მარმარილოს ზღვის შუა ბოლგარიას უნდა მიეცეს და ამასთან მეტი წილი მაკედონიისაცა. საბერძნეთმა უნდა დაიჭიროს მთელი ნაპირი ზღვისა სალონიკითა და ხალკედონის ნახევარ-კუნძულითა. იტალიამ, თუ ჰსურს, ალბანია დაიჭიროს. სერბიას ეძლევა ის ადგილი ოსმალეთისა, რომელიც სერბიასა და ჩერნოგორიას შუა დევსო.

ამ სახითა ჰყოფს წევრი ინგლისის პარლამენტისა და მომხრე გლადსტონისა სტევენსონი ოსმალეთს. (ს. ვ.)

— ძაღლის გონიერება ყველას მოხსენებული აქვს და აი ერთი მაგალითიც, რომელიც ამტკიცებს, რომ ძაღლს ბევრნაირი მოსაზრება შეუძლიან. მადაგასკარის კუნძული, რომელიც ეხლა საფრანგეთმა დაიჭირა, სავსეა ძაღლებითა, თავისუფლად დადიან და ამასთან იძულებულნი არიან თვითონვე იშოვონ საჭმელი. მეტი გზა რომ არა აქვთ, იჭერენ ვირ-თაგვებს, თაგვებს, ბაყაყებს და სხვას ამისთანას და იმით იკვებებიან. ამისათვის იგინი ხშირად იძულებულნი არიან შორს წავიდნენ სანადიროდ და რადგანაც მადაგასკარი აჭრელებულია მრავალ წყლებითა და მდინარეებითა, ხშირად სჭირდებათ ამ წყლებში გასვლა-გამოსვლა. იმათ საუბედუროდ ამ წყლებში ერთგვარი ნიანგია (კროკოდილი), რომელსაც კაიმანი ჰქვიან. ეს მსუნაგი და მტაცებელი წყლის-შვილი, რაკი პირს მოჰკრავს წყალში რაიმე სულიერს, თუნდაც ადამიანი იყოს, ჩაითრევს და შეუჭმელს არ გაუშვებს. ძაღლებს, რა თქმა უნდა, უფრო ავ დღეს აყენებენ ეს ნიანგნი, რაკი წყალში მოახელებენ. რას ჰშვრებიან თურმე მადაგასკარის ძაღლები, რომ ამათ არ შეეჭმევინონ, როცა წყალში გადიან? ათ-ათი, ოც-ოცი ერთად მოგროვდებიან თურმე მდინარის ნაპირზე და დაიწყებენ საშინელს ღმუილს. რაც ახლომახლო წყალში სადმე ნიანგია ამ ღმუილზე მოცურდებიან იქ, საიდამაც ღმუილი ესმათ და იმის ლოდინით, რომ საცაა ძაღლები ჩამოცვივიან წყალში და კარგი დავლა გვერგებაო, ერთს ადგილას თავს მოიყრიან თურმე. რაკი ძაღლები დაინახვენ წყლიდამ ამოყოფილ თავებს ნიანგებისას, თვითონ დჰკრავენ ფეხს და რაც ძალი და ღონე აქვთ გარბიან ერთის, ანუ ორის ვერსტის მანძილზე და იქ გადიან წყალში. აგრე ატყუებენ თურმე ნიანგებს. (პ. ი ლ.)

## თეატრის მატიანე.

ეხლანდელს დრამატიულს მწერალთა შორის იბსენს, ნორვეგიის გამოჩენილს მწერალს, უპირველესი ადგილი უკავია. იბსენი განსვენებული ალექსანდრე დიუმას მიმდევარია იმაში, რომ თეატრი კათედრად მიაჩნია, რომლიდამაც ამა თუ იმ მოძღვრების პრინციპებს იცავს. გატაცებულის, აღელვებულის სიტყვებით ესა თუ ის მომქმედი პირი ავტორის აზრებს აუწყებს მსმენელთ და ჰკიცხავს ამა თუ იმ საზიზღარ მოვლენას დღევანდელის ცხოვრებისას. საუკეთესო თავისს დრამებში იბსენი პირადობის დამცველად სდგება, საზოგადოების დახავსებულ მოთხოვნილებათა წინააღმდეგია და მათ უშინაარსობას, უმსგავსობას და არა ადამიანურს ხასიათს საქვეყნოდ ჰგმობს. („ნორა“ „ექიმი შტოკმანი“) ამით არ კმაყოფილდება იბსენი და ფატალურ ძალებთაც კი ებრძვის, იმ ძალებთ, რომელნიც პირადობას სიცოცხლეს უსპობენ და ხელ-ფეხს უბოჭვენ, იმ ძალებს, რომელნიც სჯიან შვილს მამის ცოდვისათვის და რომლის წინაშე შვილიშვილი აგებს პასუხს პაპის გარყვნილი ცხოვრებისათვის („მოჩვენება“).

28 მარტს რუსეთის არტისტებთაგან წარმოდგენილი დრამა „ნორა“ იბსენისა, ერთი საუკეთესო მისი დრამებთაგანია. აქ იბსენი იცავს პირადობას, პირადობას ქალისას, რომელიც ბევრად უფრო შეზღუდულია საზოგადოებისაგან, ვინემ კაცი. ამ პიესას ფრანგულად ჰქვიან «ტიკინი», სახელი, რომელიც შეესაბამება იმ როლს, რომელსაც ნორა თამაშობს საზოგადოებაში და ოჯახში. ნორა სწორედ, რომ ტიკინია, როგორც თვითვე უწოდებს თავის თავს, ტიკინია, რომელიც მხოლოდ თავისდა სასიამოვნოდ უყვარს მამას, ტიკინია, რომელიც აცინებს და ასიამოვნებს ქმარს. მეტი არაფერი, ერთხელაც არ უჩვენებიათ მისთვის, რომ იგი ადამიანია. ნორასა და მისს ქმარს ძალიან უყვართ ერთმანეთი, დიდად ბედნიერადაც ჰგრძნობენ თავისს თავს, სანამ ერთი შემთხვევა არ დაარღვევს მათ ბედნიერებას. ნორას ქმარი წინად მძიმე ავადმყოფი იყო. ექიმებმა ურჩიეს სამხრეთისაკენ წასულიყო, მაგრამ შეძლება არა ჰქონდათ და ამისათვის საჭირო ფულები ვერ იშოვეს. ნორა მიჰმართავს ვილაც ერთს ბრალმდებელად ნამყოფს ბ. გიუტნერს ფულები მასესხეო, ისიც დასთანხმდება, ოღონდ თხოულობს, რომ ნორას მამამ ხელი მოაწეროს, როგორც თავმდებმა. ნორას მამა ამ დროს ძლიერ ავადმყოფი იყო, ქალიშვილს არ უნდოდა მამა შეეწუხებინა, მით უმეტეს, რომ მამა მისს ეგონა, რომ მისი სიძე მდიდარია. ამიტომაც ნორა თვით მოაწერს მამის მაგიერ ხელს. ამგვარის ყალბის ვექსილით ნორა ფულს შოულობს. გადის კარგა ხანი, ნორას ქმარი მორჩება, მაგრამ ნორა თავისის მოქმედების შესახებ არას ეუბნება. ბ. გელმანს (ნორას ქმარი) საერო ბანკის მმართველად დანიშვნენ. გიუტნერიც ამ ბანკში მსახურობს. გიუტნერი ითვლება საზიზღარ კაცად, მრავალი დანაშაულობა მიუძღვის, ამიტომაც გელმანს, როგორც პატიოსანს კაცს, არა ჰსურს მასთან სამსახური; იმას დაითხოვს სამსახურიდამ და მისს ადგილზე დანიშნავს ნორას მეგობარს ქრისტინეს, რომელიც ის იყო ჩამოვიდა იმ ქალაქში. გიუტნერი ნორას ეტყვის, ვიცი, რომ ყალბი ვექსილი მაქვს თქვენი და სამართალში მიგცემთ, თუ თქვენმა ქმარმა ადგილი არ დამიბრუნაო. ნორა ბევრს სთხოვს ქმარს, გიუტნერს ადგილი მიეციო, მაგრამ იგი არ დასთანხმდება. მაშინ გიუტნერი წერილს მისწერს გელმანს და შეატყობინებს მისი ცოლის მოქმედებას.

გელმანიც შეიტყობს რა ამას, საშინლად გაბრაზდება, გალომდება და ჰკიცხავს და ჰგმობს ნორას. მაგრამ ამავე წუთში მეორე წიგნი მოუვა, რომელშიაც გიუტნერი უგზავნის ყალბ ვექსილს და სწერს, მაპატიე, უგუნურად მოვიქეციო. გიუტნერის ამგვარი მოქმედების მიზეზი იყო ქრისტინე, რომელიც უწინ უყვარდა, მაგრამ მშობლების სურვილით სხვას გაჰყვა. ეხლა-კი ქრისტინე აუხსნის გიუტნერს ყოველივეს და დასთანხმდება მის ცოლობაზედ. გიუტნერიც თურმე მხოლოდ უიმედო სიყვარულისაგან ყოფილა გულ-მოწყლული და იმიტომ შვრებოდა ცუდ საქმეებს, რა-კი ქრისტინე ისევ მისი გახდა, გამოიცვლება და ბ. გელმანის წინაშეც ბოდიშს იხდის. დრამა ამით არ თავდება. ნორაზედ მთელი ეს ამბავი სულ სხვა შთაბეჭდილებას მოახდენს. როგორ, მან ქმრის სიკვდილისაგან ხსნისათვის და მომაკვდავი მამის შეუწუხებლობისათვის ყალბი ვექსილი გასცა და მადლობის მაგიერ ქმარმა დაჰგმო და გაჰკიცხა?! ეხლა მას თვალები აეხსნა, ხედავს, რომ ადამიანად არავის მიაჩნდა თავის დღეში, როგორც ტიკინს, ისე ექცეოდნენ, როგორც ბავშვს, ისე უყურებდნენ. მაში გაიღვიძებს პირადობის დაცვის სურვილი და ემშვიდობება ქმარს. მე და შენ ერთად ცხოვრება აღარ შეგვიძლია. სანამ შენცა და მეც არ გამოვიცვლებით, მე აქამდინ ტიკინი ვიყავი, ეხლა ადამიანად უნდა გარდავიქცე, შენ მე ისე მიყურებდი, როგორც ტიკინს და სანამ არ მიეჩვევი იმ აზრს, რომ ქალიც, ცოლიც ადამიანია, ერთად ცხოვრება არ გვარგია. ამ სიტყვებით ნორა სტოვებს ქმარსა და შვილებს და მიდის ღრმად აღშფოთებული ქმრის საქციელით.

ჩვენ დრამის ღირსებასა და ნაკლულევანებას ეხლა არ შევეხებით, ვიტყვით მხოლოდ, რომ ქ-ნმა ვორონინამ ვერ დაგვიხატა სავსებით ნორას ხასიათი, ხასიათი იმ ქალისა, რომელიც გარეგნობით ყველას ტიკინად მიაჩნიათ, მაგრამ, რომელსაც სულის სიღრმეში ძლიერი ადამიანობა აქვს ჩანერგილი. ვერ დაგვიხატა სავსებითა და კარგად „ნორას“ შიში და სევდა, რომ მისი მოქმედება არ გაუმჟღავნდეს. ბ-ნი ლიუდვიგოვი კარგი იყო, მაგრამ მესამე მოქმედებაში მაინც ვერ დაგვიხატა ძლიერად გელმანის სულის მღელვარება. საზოგადოდ-კი პიესა კარგის ანსამბლით აღასრულეს. კარგი იქმნება ასეთს პიესებს წარმოგვიდგენდეს ხოლმე ამხანაგობა.

## წერილი რედაქციის მიმართ.

უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენის პატივცემულის გაზეთ „ივერიის“ შემწეობით უღრმესი მადლობა გამოვუცხადო ჩემის მოწაფებითურთ ქუთაისში მცხოვრებს წიგნის მაღაზიის პატრონს ივლიანე ხეთერელს, რომლისაგანაც ეწერის ერთკლასიან სასწავლებელს ეგზავნება საყმაწვილო ჟურნალის „ჯეჯილის“ ამ წლის ნომრები, აგრეთვე მზრუნველს ხსენებულის სასწავლებლისას დავით კოპალეიშვილს, რომელმაც მშვენიერად მოაწყო ოთახი წიგნთსაცავისათვის, ღირებული 50 მან., გამოუწერა სასწავლებელს ჟურნალი „სკოლის მიმოხილვა“ და შემოსწირა ღარიბ მოსწავლეებს 32 ცალი საწერელი, გრიფილები და კალმები.

არიქნება ურიგო სხვებმაც, ამ სოფლის შვილებმა, რომლებიც სამსახურში არიან საქართველოს სვადა-სხვა კუთხეში, მიჰბაძონ ამ პირებს და რითაც იქნება შემწეობა აღმოუჩინონ ხსენებულს სასწავლებელს.

მასწავლებელი ეწერის სკოლისა ვლადიმერ ნაცვალიშვილი.

1896 წ. 28 ფებერვალი.

## შემოწირულება.

ჩვენ მოგვივიდა ზამთრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ: 1) მოსკოვიდამ ვ. მ. ცებრიკოვისაგან სამი მანეთი; 2) სტეფანწმიდიდამ 10 მ. და 50 კაპ., აი სია შემომწირველთა: მღვდ. ალ. ღოღიძე—1 მან., მინა არჩვაძე—2 მან., იაგორა გიორგის ძე ღუდუშაური—1 მან., მიხეილ გიორგობიანი 1 მან., მიხაკო გომართელი 1 მან., ვანო შადური 1 მან. გინათაძე—1 მან., ყაზბეგის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უფროსი, სტეფანე კაპაცინი—50 კ. ამავე განყოფილების მოხელე არტემა პეტროსოვი—50, კაპ. იაგორ ივანეს ძე ღუდუშაური—80 კ., ტეტიკა მალსაღიშვილი 50 კ., სვიმონ შადური—20 კ.

## საქართველოს თავადნი.

თავადნი თარხან-მოურავიშვილნი. საქართველოს მეფის ლუარსაბის 24 სექტ. 1602 წ. გუჯარში ამირთა-ამირი გიორგი და ძმა მისი ქაიხოსრო სააკაძე თავადებად არიან წოდებულნი. მისთ შთამომავალთ მიიღეს გვარი თარხან-მოურავიშვილთა.

თავად თარხან-მოურავიშვილთა გვარეულობა აღნიშნულია ქართლის თავადთა სიაში, რომელიც საქართველოს მეფის ერეკლე II-ის მიერ 1783 წ. რუსეთის მთავრობასთან შეკრულს ტრაქტატსა აქვს ზედ დართული.

11 თებერვალს 1826 წ. უმაღლესად დამტკიცებულის სახელმწიფო საბჭოს განაჩენით თავადებად ცნობილ და V გვარეულობათა წიგნში შეტანილ არიან თავადნი თარხან-მოურავიშვილნი: 1) პოდპოლკოვნიკი სოლომონ ზაზას ძე და შვილნი მისნი: ზაზა, სვიმონ, გრიგოლ, ივანე და ევგენი; 2) მაიორი დავით ზაზას ძე და შვილნი მისნი: კონსტანტინე, ალექსანდრე, იოსებ და ილია; 3) კაპიტანი დიმიტრი ზაზას ძე და შვილნი მისნი: გრიგოლ და პავლე; 4) ლუარსაბ ზაზას ძე, შვილნი მისნი ლევან და იასონ და 5) კაპიტანი ბესარიონ ზაზას ძე და შვილი მისი ივანე.

უმართებულესის სენატის დადგენილებით 4 მაისსა და 12 ოქტ. 1849 წელ. და 11 აგვისტოს 1852 წ. ამ გვარს შეუერთდნენ თავადნი თარხან-მოურავიშვილნი: მიხეილ დავითის ძე, კონსტანტინე ზაზას ძე და მიხეილ ევგენის ძე.

## „ივერიის“ დეპეშა.

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

28 მარტი. *)

**პეტერბურგი.** გამოცხადებულ იქმნა, თუ რა ფასად უნდა გავიდეს ვერცხლისა, ქაღალდისა და შავი ფული ოქროს ფულზედ საბაჟოებში საგზაო გარდასახადის წარდგენის დროს. 1-ლ აპრილიდამ ვიდრე 1-ლ ივლისამდე 1896 წლისა მინისტრს დაუდგენია შემდეგი ფასები: ა) ვერცხლის მანეთში მიეცემათ $66^{2}/_{3}$ კ. ოქროს ფულად და ბ) ქაღალდის ფულში მანეთზე და მანეთზე ვერცხლისა და შავ ფულზე მიეცემაც $66^{2}/_{3}$ კაპ.

**ბათუმი.** „ჩერნომ. ვესტ.“-ს ატყობინებენ დეპეშით ფოთიდამ, რომ დაბლობი ქუჩები მთლად წყალმა დაჰფარაო.

**მასსოვა.** 22 მარტს პოლკოვნიკმა სტეფანიმ ერთი რაზმი დერვიშთა ტურუფას მახლობლად შეიმწყვდია ტყეებში, მაგრამ ვერ შესძლო ჩასაფრებულ ადგილიდამ გამოყვანა და მშვიდობიანად დაბრუნდა კასსალას. პოლკოვნიკს ჰსურდა მეორე დღესაც მიეტანა იერიში, მაგრამ გენერალის ბალდისერასაგან ბრძანება მიიღო ფრთხილად იყოს და შემდეგში ასეთს თავდასხმას ერიდოს და თავისის რაზმით აგორდატას წავიდეს.

29 მარტი.

**ოდესა.** 27 მარტს აქ მოვიდა სანიტართა გუნდი გენერალის შვედოვის წინამძღოლობით. 30 მარტს გუნდი პორტსაიდს მიდის.

**ბერლინი.** „ჩრდილო-გერმანიის გაზეთი“ ამბობს, რომ კანცლერი თავისს მეუღლეს გაჰყვა პარისში, სადაც რამდენიმე დღეს დარჩება. კანცლერის პარისში მისვლას სრულიად კერძო ხასიათი აქვს, ამიტომ არც არავის მიიღებს, არც თითონ ნახავს ვისმე; რამდენიმე დღის შემდეგ, ალბათ, ვენას წავა.

**კონსტანტინოპოლი.** 27 მარტს ბულგარიის მთავარი საუზმეზე იყო დაპატიჟებული ინგლისის საელჩოში. 28 მარტს საუზმეს გაუმართავს გერმანიის ელჩი, ხოლო სადილათ დაპატიჟებს იტალიის საელჩო. სულთანმა აჩუქა მთავარს პატარა გემი.

**ბელგრადი.** უსკიუპის მართმადიდებელთა ეკკლესიაში აღდგომა დღეს, წირვის დროს, რამდენიმე ბერძენმა უწესოება მოახდინა და გააწყვეტინა გალობა სლავიურს ენაზე. პოლიციამ 17 ბერძენი დაატუსაღა. მიტროპოლიტმა ეკკლესია დახურა და ადგილობრივს გუბერნატორს მიჰმართა საჩივრით.

**ლონდონი.** „ტაიმს“-ის სიტყვით, რუსეთიდამ ლი-ხუნგ-ჩანგი ლონდონს წავა, სადაც ინახულებს მარკიზ სოლსბერის. ლი-ხუნ-ჩანგი ამერიკაში აღარ წავა.

**თეირანი.** სპარსეთის ყველა ქალაქებში დიდი მზადებაა, რათა 24 აპრილს იდღესასწაულონ 50 წლის იუბილეი ახლანდელ შაჰის გამეფებისა.

*) ეს დეპეშა მხოლოდ გუშინ დილას გამოგვიგზავნა ადგილობრივ სააგენტომ. რედ.

## განცხადებანი


პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

ყ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდნევა 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, ორშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^{1}/_{2}$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი. 5—6 საათ. ორშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. მ. პუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის

დირექტორი სამკ. ნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ).

კბილის ექიმი
ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 10-დგან 2 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
კვირა-უქმე დღეებში
დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (166—1891—95).

ქირავდება

ხუთი ოთახი ავჭალის ქუჩა, № 21.

[illegible]

დაიბეჭდა ახალი წიგნი

შოთა რუსთაველი

შედგენილი მ. ჯანაშვილის მიერ.

განყოფილება პირველი. ა) შოთა რუსთაველი; რუსთაველის წინა დროის მწერლობა.—ცნობანი რუსთაველის ცხოვრების შესახებ.—როგორ უყურებდნენ რუსთაველის ქმნილებას ძველი დროის მწერლები.—რუსთველის ლექსთა წყობა.—როგორ ესმისთ შაირობა რუსთაველსა და მის დროის მწერლებს.—რუსთაველის გმირები, მისი რომანი, რუსთაველის გულკეთილობა და დიდბუნებოვანება.—ვეფხის-ტყაოსნის ბეჭდვისა და მეცნიერულად შესწავლის ისტორია (მეფე არჩილი, მეფე ვახტანგ VI.—დავით ჩუბინაშვილი.—ილია ჭავჭავაძე.—ბარონ სუტნერი.—მარი ბროსე.—დიმ. ბაქრაძე.—აკაკი წერეთელი.—მურავიევი.—ნ. გულაკი.—ალ. ხახანაშვილი.—ვაჟა-ფშაველა.—ნიკო მარრი—ნიკო ნიკოლაძე.—ალ. ნანეიშვილი.—დიმ. ყიფიანი.—ჩვენი მოსაზრება.—გრ. ორბელიანი.—გიორგი წერეთელი.—ვახტ. ორბელიანი.—პლატ. იოსელიანი.—ალ. ცაგარელი.—ნ. დ.—ევ. იოსელიანი.—ლეისტი, ბარტდინსკი, პოლონსკი, მურიე, სტალინსკი, რენანი, უორდროპი); ბ) რუსთაველის სურათზე. განყოფილება მეორე. ვეფხის ტყაოსნის თხრობა. განყოფილება მესამე. ცხოვრება და ბუნება რუსთაველის შეხედულობით: ა) ღმერთი, ბ) თამარ დედოფალი, გ) რუსთველის ლოცვა, დ) სიმუხთლე სოფლისა, ე) სიკვდილი, ვ) კაცო, ძალსა ნუ იქადი, ზ) ქორწილი, ჱ) რუსთაველის იგავ-არაკნი, თ) შაირობა და მგოსნობა, ი) რუსთველის სიბრძნენი და თქმულობანი (სულ რიცხვით 251).

გამოცემა 183 გვერდია, შემკულია სამის სახითა (შოთასი, თამარ დედოფლისა და ტბეთის ეპისკოპოსის წმ. იოანესი და ორის ნახატით „რუსთაველის სურათზე“ და თამარ დედოფალი ციხის ძირს და ღირს 40 კაპ.

**ტფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს,** რომ მისის დასწრებით 2 აპრილს ამა წლისას, შუადღის 12 საათზე, დანიშნულია ვაჭრობა იჯარით გაცემ მისა ქალაქის ქუჩების და მოედნების ქვით დაფენისა. პირობების დაწვრილებით შეტყობა შეიძლება ყოველდღე, კვირა დღეების გარდა, გამგეობის შენობათა ასაგებ განყოფილებაში დილის 10 საათიდამ შუადღის 2 საათამდე. 3—1

«სიჭაბუკის ცოდვა»

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავაშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ-რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული დ-რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანეთი

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზედ დასაყენებლად.

წიგნი ნება დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან, ლეიპციგს. Otto Asperger, Leipzig (საქსონიას). უცხოქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფ სს იხდიან. 31—1—1

ხელმწიფისაგან ნებადართული.

გემოვნების მოყვარულთ ვურჩევთ:

ლუკაშ „საშე“-ს—საუცხოვო და ხასიათიანია.

საპონ „საშე“-ს—მშვენიერი სუნი აქვს და მეტად სასიამოვნოა ხმარების დროს.

ს. პ. ბ. ხარაზოვ-ქიმიური ფაბრიკისა. (7—6)